საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-93

22/02/2018

ქ. თბილისი

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ წარმოდგენილ მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდი მუღანლოს ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება კომუნალური და სოფლის წყალსადენების მომსახურების მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართში მოცემული დასაბუთების საფუძველზე მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ წარმოდგენილ მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდი მუღანლოს ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება კომუნალური და სოფლის წყალსადენების მომსახურების მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს გარემოსდაცვით სფეროში მოქმედი გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს (სოფ. უწერა) საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი